



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

N 01/163
07/04/2026

163-01-2-202604071725


საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – გიორგი კვერენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914, 1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

1. გამოვხატავთ რა ჩვენი კოლეგებისადმი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრებისადმი პატივისცემას, ამავე დროს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამთ განსხვავებულ აზრს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილებასთან (შემდგომში – 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილება) დაკავშირებით.

შესავალი

2. 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არ დაადასტურა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის შენიშვნის მე-11 პუნქტისა და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1¹ პუნქტის პირველი წინადადების იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურობა, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 3 წლით, ხოლო პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებების 5 წლით სავალდებულო წესით ჩამორთმევას, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არ გაიზიარა

ნიპარიშვილისა და ვლადიმერ ხუჭუას) საფუძვლიანი ვარაუდი სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ გასაჩივრებული რეგულირების შემუშავების ლეგიტიმური საჯარო ინტერესები, რაც გულისხმობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას, ახალგაზრდა თაობის სრულფასოვანი განვითარებისათვის საფრთხისშემცველი ფაქტორების შემცირებას, აგრეთვე, სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და საჯარო მმართველობისადმი საზოგადოების ნდობის გარანტირებას, ამართლებდა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირისათვის რიგი უფლებების სავალდებულო და ავტომატური ჩამორთმევით განპირობებულ უარყოფით ეფექტებს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის შენიშვნის მე-11 ნაწილისა და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1¹ პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-26, 27, 31, 32-33, 36, 47). მაშასადამე, სადავო ნორმების საფუძველზე, მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან/და გადაგზავნის გამო პირისათვის შესაბამისი უფლებების ჩამორთმევა არ ჩაითვალა აშკარად არაპროპორციული სასჯელის ზომად, ხოლო სადავო ნორმები მიჩნეულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან თავსებადად (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის შენიშვნის მე-11 ნაწილისა და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1¹ პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-47).

4. ვფიქრობთ, ჩვენმა კოლეგებმა არასათანადოდ განსაზღვრეს ბალანსი, ერთი მხრივ, სადავო ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებების მეშვეობით მისაღწევ ლეგიტიმურ ინტერესებსა და, მეორე მხრივ, აღნიშნული ღონისძიებებით შეზღუდულ უფლებებს შორის. მივიჩნევთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად უნდა ეცნო გასაჩივრებული ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 3 წლით, ხოლო

პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებების 5 წლით სავალდებულო წესით ჩამორთმევას, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

5. აქვე მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური წარდგინებების ავტორი მოსამართლეები განსხვავებულად აფასებდნენ სადავო ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებების სამართლებრივ ბუნებას. კერძოდ, №1920, №1921, №1922 და №1928 წარდგინებების ავტორის პოზიციით, აღნიშნული ღონისძიებები, მათი შინაარსისა და მიზნების გათვალისწინებით, არსებითად უტოლდება სასჯელს, ვინაიდან მათი გამოყენება პირდაპირ უკავშირდება სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს და გულისხმობს, პირისათვის სასჯელის ეკვივალენტური შეზღუდვების დაკისრებას. ამასთანავე, №1914 და №1938 კონსტიტუციური წარდგინებების ავტორი არ აყალიბებდა ერთმნიშვნელოვან პოზიციას იმის თაობაზე, სადავო ღონისძიებები უნდა შეფასდეს სასჯელად თუ ადმინისტრაციულ სახდელად. აღნიშნულთან დაკავშირებით, ვიზიარებთ ჩვენი კოლეგების პოზიციას და მივიჩნევთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, სადავო ღონისძიებების კონსტიტუციურობის შეფასებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს მათ ფორმალურ კვალიფიკაციას. დასახელებული კონსტიტუციური ნორმის მიზნებისთვის ტერმინ „სასჯელს“ გააჩნია ავტონომიური შინაარსი და მასში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელი, ასევე ადმინისტრაციული სახდელი. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება კრძალავს პირის მიერ ჩადენილი ქმედების საპასუხოდ გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომის არაპროპორციულობას, რის გამოც სადავო ღონისძიებები, მათი ფორმალური კვალიფიკაციის მიუხედავად, ექვემდებარება შეფასებას, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. შესაბამისად, წინამდებარე განსხვავებულ აზრში, სადავო ღონისძიებების პროპორციულობის შეფასებისას, მათ აღსანიშნავად გამოყენებული იქნება ტერმინი – „სასჯელი“.

1. სასჯელის კონსტიტუციურობის მიმართ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი სტანდარტები

1.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სასჯელის პროპორციულობის შეფასების სტანდარტები

6. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დაუშვებლად არის გამოცხადებული ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით განსაზღვრულ აკრძალულ ქმედებებს აბსოლუტური ხასიათი გააჩნია, რაც გულისხმობს, რომ საქართველოს კონსტიტუცია, ნებისმიერ დროსა და ვითარებაში, მათ შორის, ომისა და საგანგებო მდგომარეობის დროს, უპირობოდ გამორიცხავს ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, დაუძლეველი ინტერესი, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი, რომლის დაცვაც გაამართლებდა და, რაიმე ფორმით, დაშვებულს გახდიდა ადამიანის წინააღმდეგ რომელიმე ზემოხსენებული აკრძალული ქმედების გამოყენებას. სწორედ ამიტომ, პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტი, საწყისშივე, ყოველ ჯერზე, ადამიანის ღირსების დაცვის სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19).

7. ცხადია, შეუძლებელია, ექვევებ იქნეს დაყენებული ის გარემოება, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას გააჩნია ლეგიტიმური უფლებამოსილება და, იმავდროულად, კონსტიტუციური ვალდებულება, დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, პასუხისმგებლობის დამდგენი სამართლის ნორმების შემუშავების გზით – იქნება ისინი სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები. მხოლოდ ამგვარად ხდება შესაძლებელი, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, სახელმწიფო/საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ისეთი სამართლებრივი თუ ყოფითი გარემოს ჩამოყალიბება, სადაც თითოეულ ინდივიდს ექნება საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით სრულყოფილად და ეფექტიანად სარგებლობის რეალური შესაძლებლობა (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45). ბუნებრივია, ამ ჭრილში, სახელმწიფოს ხელთ არსებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სამართალი წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფო უფლებამოსილია, განსაზღვროს აკრძალული ქმედებები, გაითვალისწინოს აღნიშნული ქმედებებისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის ფორმები და ზომები, ისევე, როგორც უზრუნველყოს მათი ეფექტიანი აღსრულება პრაქტიკაში. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის პრევენცია და მათზე სათანადო რეაგირება წარმოადგენს, მათ შორის, სახელმწიფო/საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის,

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, ისევე, როგორც სხვა კონსტიტუციური ღირებულებების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას.

8. იმავდროულად, სისხლის სამართლის პოლიტიკის მსგავსად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სამართლის შემუშავების სფეროში, საკანონმდებლო ხელისუფლება სარგებლობს თავისუფალი შეფასების ფარგლებით, რათა საზოგადოებაში არსებული გამოწვევებისა და სამართალდარღვევათა გავრცელების თავისებურებების გათვალისწინებით, განსაზღვროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების პოლიტიკა, მათ შორის, დაადგინოს აკრძალული ქმედებების ჩამონათვალი და დააწესოს შესაბამისი პასუხისმგებლობის ღონისძიებები. ამ პროცესში, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გამოკვეთოს და გააანალიზოს საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი ქცევები და საშიშროების ხარისხი, შეაფასოს მათი განვითარების ტენდენციები და დინამიკა, გააკეთოს პროგნოზირება შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით, ობიექტურად განსაზღვროს შესაბამისი რისკების მასშტაბი და, მათი პრევენციისა და ნეიტრალიზაციის მიზნით, გამოიყენოს გონივრული და პროპორციული სამართლებრივი ღონისძიებები.

9. მართალია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენი სამართლისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალი, როგორც წესი, რეპრესიულობის შედარებით დაბალი ხარისხით ხასიათდება, თუმცა იგი, როგორც პასუხისმგებლობის სამართლის შემადგენელი ნაწილი, გულისხმობს ადამიანის მიმართ იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გამოყენებას, რომლებიც თავიანთი ბუნებით, ინდივიდის უფლებრივ მდგომარეობაზე ინტენსიურად ზემოქმედებს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ღონისძიებები, სახისა და სიმძიმის გათვალისწინებით, შეიძლება, მნიშვნელოვნად ზღუდავდეს ინდივიდის სხვადასხვა კონსტიტუციურ უფლებასა და თავისუფლებას, გავლენას ახდენდეს ადამიანის პროფესიულ, სოციალურ და პირად ცხოვრებაზე, ეკონომიკურ კეთილდღეობასა თუ ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელ მრავალ სხვადასხვა ყოფით ასპექტზე. ამიტომ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები, კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, საჭიროებს ისეთივე სკრუპულოზურ გადამოწმებას, როგორც პასუხისმგებლობის სხვა ფორმები.

10. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პოლიტიკის შემადგენელი მექანიზმების არასწორმა, საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგო გამოყენებამ, შესაძლოა, იგი თავად გადააქციოს იმ ღირებულებების დარღვევის წყაროდ, რომელთა დასაცავადაც მისი შემუშავება მოხდა. სამართალდარღვევად მიჩნეული ქმედებების განსაზღვრისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესების პროცესში, სახელმწიფოს მართებს განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა, ერთი მხრივ, უსაფუძვლოდ არ შეიზღუდოს პირის თავისუფლება ამა თუ იმ

ქცევის აკრძალვის გზით, ხოლო, მეორე მხრივ, დადგენილი სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული რეაგირება არ იყოს გადამეტებული და აშკარად არაპროპორციული. სახელმწიფოს ჩარევა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ადამიანის ღირსებას შეეხება, უნდა შემოიფარგლებოდეს მკაცრად და ობიექტურად აუცილებელი ფარგლებით, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის მექანიზმი დაკარგავს თავის ლეგიტიმურ მიზანს და გადაიქცევა პირის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის ინსტრუმენტად (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

11. მაშასადამე, მიუხედავად საკანონმდებლო ორგანოს შეფასების თავისუფალი არეალისა, პასუხისმგებლობის დამდგენი სამართლის შემუშავების სფეროში, ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში, იგი არ უნდა გასცდეს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ საზღვრებს. პირისთვის პასუხისმგებლობის, მათ შორის, შესაბამისი სასჯელის დაწესების, საქართველოს კონსტიტუციით დაშვებული ფარგლები დაირღვევა იმ შემთხვევაში, თუკი საკანონმდებლო ორგანოს მიერ განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომა, თავისი ფორმის, ხასიათის, გამოყენების წესის ან სიმკაცრის გამო, აშკარად არაპროპორციულია და უთანაბრდება სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ სასჯელს. მაგალითად, თუ დადგინდება, რომ პირის პასუხისმგებლობის კონკრეტული ფორმა ან მისი გამოყენების წესი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას, განპირობებული არ არის დემოკრატიულ საზოგადოებაში ობიექტური აუცილებლობით და არის უსაფუძვლო ტვირთი ადამიანის თავისუფლებისთვის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, არაკონსტიტუციურად ცნოს ამგვარი სასჯელი და, ამ გზით, აღმოფხვრას კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გაუმართლებელი შეზღუდვის ფაქტი (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – თეიმურაზ ტულუშის და ირინე იმერლიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 14 ივნისის №2/1/702 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 17).

12. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, აუცილებელია შეფასდეს, რა როლი და დანიშნულება გააჩნია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მიმართ დაწესებულ პასუხისმგებლობის ღონისძიებებს დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში და რამდენად შეესაბამება სადავო ნორმებით გათვალისწინებული რეგულირებები აღნიშნულ მიზნებს. სადამსჯელო ღონისძიების სახელმწიფოს

მხრიდან გამოყენებას გამოეცლება ლეგიტიმური საფუძველი და, კონსტიტუციური სტანდარტის თვალსაზრისით, შეფასდება როგორც თვითმიზნური, თუ თავისი ბუნებით ან გამოყენების წესით, ვერ უზრუნველყოფს ამგვარი ღონისძიებების მიზნების მიღწევას.

1.2. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ღონისძიებების არსი, მიზნები და კონსტიტუციური საზღვრები

13. ზოგადად, იმ ქმედებათა იდენტიფიცირება, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის რისკის შემცველია და მათთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესება სახელმწიფოს უფლებამოსილებას და, იმავედროულად, ვალდებულებას განეკუთვნება, რაც, პირთა მხრიდან ასოციალური ქცევის პრევენციას ემსახურება. ამასთანავე, პასუხისმგებლობის ღონისძიებები, თავიანთი ბუნებით, მართალია, უკავშირდება პირის უფლებათა შეზღუდვას და უნდა ხასიათდებოდეს პირზე რეალური ზემოქმედების უნარით, თუმცა დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში სასჯელის დანიშვნა ვერ იქნება მხოლოდ რეპრესიული ან შურისძიებითი ხასიათის და უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ პენოლოგიურ მიზნებს. ამგვარი მიზნებია სამართლიანობის აღდგენა, ახალი სამართალდარღვევის თავიდან აცილება და პირის რესოციალიზაცია, რომელთა მიღწევა უნდა განხორციელდეს კუმულაციურად და შესაბამისობაში იყოს კონსტიტუციურ სტანდარტებთან (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40, 52). შესაბამისად, ნებისმიერი სადამსჯელო ღონისძიება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ საფუძველს, ჰქონდეს უნარი, უზრუნველყოს ზემოაღნიშნული მიზნების რეალიზაცია და არ იყოს მათგან აცდენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასჯელი დაკარგავს თავის ლეგიტიმურ საფუძველს და გადაიქცევა თვითმიზნურ ღონისძიებად, რაც შეუთავსებელია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობის იდეასთან.

14. სასჯელი, როგორც სახელმწიფოს რეაგირება სამართალდარღვევაზე, უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებაში დარღვეული სამართლიანობის აღდგენას, რაც გულისხმობს, რომ მისი დაკისრების წესი, ფორმა და სიმკაცრე უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნას და, ამასთანავე, არ იწვევდეს უსამართლობის განცდას საზოგადოებასა და ინდივიდებში. სამართლიანობის აღდგენა უკავშირდება ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელებას, რაც გამოიხატება პროპორციული სასჯელის დაწესებასა და მის საქართველოს კონსტიტუციასთან თავსებადი ფორმით გამოყენებაში, მათ შორის, პირის

არაპროპორციულად დასჯისაგან დაცვის უზრუნველყოფაში. აღნიშნული მიზანი სცდება პირის სუბიექტურ ინტერესებს და წარმოადგენს საჯარო ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც მოითხოვს სამართალდარღვევაზე სახელმწიფოს პასუხის სათანადოობასა და სამართლიანობას. ამასთანავე, სამართლიანობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასჯელის გამოყენება ეფუძნება ინდივიდუალური გარემოებების, ქმედების სიმძიმისა და მისგან მომდინარე საფრთხეების შეფასებას, რაც გულისხმობს სასჯელის ინდივიდუალიზაციას და გამორიცხავს ბლანკეტურ, ერთგვაროვან მიდგომას განსხვავებულ შემთხვევებზე. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანო ვალდებულია, შექმნას საკმარისად მოქნილი ნორმატიული ჩარჩო, რომელიც სამართალშემფარდებელს შესაძლებლობას მიანიჭებს, პასუხისმგებლობის ღონისძიების შერჩევას, გაითვალისწინოს კონკრეტულ ქმედებასა და სუბიექტთან დაკავშირებული ინდივიდუალური გარემოებები, ხოლო სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს, ყველა რელევანტური გარემოების გათვალისწინების გზით, პირისათვის, კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტურად აუცილებელი და თანაზომიერი სასჯელის შეფარდება. სამართლიანობის აღდგენის მიზანი მიღწევადია მხოლოდ მაშინ, როდესაც, ერთი მხრივ, სასჯელის სიმძიმე გონივრულ პროპორციაშია ქმედებით გამოწვეულ საფრთხეებთან, ხოლო, მეორე მხრივ, მისი დაკისრება ხდება ინდივიდუალური გარემოებების სრულყოფილი შეფასების საფუძველზე (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – თეიმურაზ ტულუშის და ირინე იმერლიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 14 ივნისის №2/1/702 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 22-26).

15. იმავდროულად, სასჯელის, იქნება იგი ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კანონმდებლობით განსაზღვრული, დაკისრების ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიზანს სამართალდარღვევის პრევენცია წარმოადგენს, რაც გულისხმობს მომავალში სამართალდარღვევის ჩადენის თავიდან აცილებას როგორც უშუალოდ სამართალდამრღვევი პირის, აგრეთვე საზოგადოების ნებისმიერი სხვა წევრის მხრიდან. კერძოდ, სპეციალური პრევენცია მიმართულია კონკრეტული პირის მიერ სამართალდარღვევის განმეორების თავიდან აცილებისკენ, ხოლო ზოგადი პრევენცია – სოციუმის ფართო წრეებზე ზემოქმედების გზით, მსგავსი ქცევის შეკავებისკენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ ზოგადი პრევენცია ვერ იქნება დამოუკიდებელი და თვითკმარი საფუძველი პირის დასასჯელად, ვინაიდან დაუშვებელია ადამიანის გამოყენება სხვათა დაშინების ან მაგალითის ჩვენების ინსტრუმენტად. პირის წინააღმდეგ გამოყენებული იძულების ღონისძიება უნდა ეფუძნებოდეს მის ინდივიდუალურ ბრალსა და ქცევის თავისებურებებს, ემსახურებოდეს

სამართლიანობის აღდგენას, რესოციალიზაციასა და სპეციალურ პრევენციას და არ შეიძლება იყოს განპირობებული მხოლოდ ზოგადი პრევენციული მოსაზრებებით. როდესაც სასჯელი, მეტწილად, განპირობებულია მხოლოდ ზოგადი პრევენციული მიზნებით და არა ინდივიდისგან მომდინარე საფრთხეებით, იგი არღვევს აუცილებელ ბალანსს, ადამიანს აქცევს სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტად და იწვევს მისი ღირსების ხელყოფას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52-54; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – თეიმურაზ ტულუშის და ირინე იმერლიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 14 ივნისის №2/1/702 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 27-31).

16. რესოციალიზაციის იდეა კი, რომელიც, თავისი არსით, უკავშირდება პირის საზოგადოებაში მიღებული თანაცხოვრების წესებთან შეგუებასა და მისი ქცევის კორექტირებას, ადმინისტრაციულ სამართალში ვლინდება შედარებით შეზღუდული მოცულობით და უმთავრესად, მართლზომიერი ქცევისადმი ორიენტაციის ფორმით. აღნიშნული მიზანი ეფუძნება ადამიანის ღირსების პატივისცემის პრინციპს და გულისხმობს, რომ პირის მიმართ გამოყენებული ღონისძიება არ უნდა გამოიწვიოს მის ნორმალურ სოციალურ ფუნქციონირებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას. ამასთანავე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში რესოციალიზაციის ელემენტი არ მოიცავს იმ კომპლექსურ რეინტეგრაციულ პროცესს, რომელიც დამახასიათებელია სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისთვის, სადაც აქცენტი კეთდება მსჯავრდებულის საზოგადოებაში სრულფასოვან დაბრუნებაზე და მის წინაშე არსებული სტრუქტურული ბარიერების შემცირებაზე. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალში აღნიშნული მიზანი გამოიხატება, ძირითადად, პირის ქცევის კორექტირებაში და ისეთი სამართლებრივი გარემოს უზრუნველყოფაში, რომელიც ხელს უწყობს მომავალში სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას, თუმცა არ უნდა იქცეს ისეთი სამართლებრივი ბარიერების დაწესების საფუძვლად, რომლებიც გაუმართლებლად აფერხებს პირის ნორმალურ სოციალურ ფუნქციონირებას.

2. სადავო ნორმების შესაბამისობა სასჯელის პროპორციულობის მიმართ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ სტანდარტთან

2.1. გასაჩივრებული ნორმების შინაარსის იდენტიფიცირება

17. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის, მოხმარების ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ ყოფნისათვის. კონსტიტუციური წარდგინებებით გასაჩივრებული, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის შენიშვნის მე-11 ნაწილის შესაბამისად კი, პირს, რომელიც ზემოხსენებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან ერთ-ერთს მაინც ჩაიდენს, სასამართლო, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ჩამოართმევს იმავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებებს. თავის მხრივ, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1¹ პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 45¹ ან 100² მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ პირისათვის ჩამორთმევას ექვემდებარება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 3 წლის ვადით, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობისა და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები – 5 წლის ვადით. იმავედროულად, შესაბამისი უფლებების ჩამორთმევა წარმოადგენს სავალდებულო და ავტომატურ ღონისძიებას ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ სამართალდარღვევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არ იძლევა, თითოეული საქმის ინდივიდუალური გარემოებების მხედველობაში მიღების გზით, რაიმე გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, სადავო ნორმებით გათვალისწინებული უფლებრივი შეზღუდვების მოქმედების ვადის დენა იწყება სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

18. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლეები სადავო ნორმებით დადგენილი ღონისძიებების კონსტიტუციურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კონტექსტში. კონსტიტუციური წარდგინებების ავტორების მთავარ მოთხოვნას, მიუხედავად სადავო რეგულირებების შესაძლო არაკონსტიტუციურობის დასაბუთების პროცესში მათ მიერ განვითარებული მეტ-ნაკლებად განსხვავებული აქცენტებისა, არსებითად, წარმოადგენდა იმ ნორმატიული მოწესრიგების კონსტიტუციურობის შემოწმება, რომელიც მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს/მოსამართლის მხრიდან ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შესაძლებლობის გარეშე, სავალდებულო წესით და ავტომატურად ითვალისწინებს პირისთვის სხვადასხვა უფლების განსხვავებული ვადით ჩამორთმევას და, ამდენად, გარკვეულ შემთხვევებში, წარმოშობს აშკარად არაპროპორციულ სამართლებრივ შედეგებს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის.

19. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის პირველი ნაწილით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად არის გამოცხადებული მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან/და გადაგზავნა. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის № დანართის 73-ე და 92-ე ჰორიზონტალური გრაფების მიხედვით, მცენარე კანაფის მცირე ოდენობად განისაზღვრება 10 გრამამდე ნივთიერება, ხოლო მარიხუანასთან მიმართებით მცირე ოდენობად მიიჩნევა 5 გრამამდე გამომშრალი და 10 გრამამდე ნედლი მარიხუანა.

20. მაშასადამე, გასაჩივრებული რეგულაციების საფუძველზე, თუ ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ პირმა განახორციელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაც გულისხმობს მცენარე კანაფის [10 გრამამდე] ან მარიხუანის [5 გრამამდე გამომშრალი ან 10 გრამამდე ნედლი] მცირე ოდენობით შექმნას, შენახვას, გადაზიდვას ან/და გადაგზავნას, იგი ვალდებულია, მიიღოს გადაწყვეტილება პირისათვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 3 წლის ვადით, ხოლო პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობისა და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები – 5 წლის ვადით ჩამორთმევის შესახებ. იმავდროულად, სადავო ნორმებით გათვალისწინებული უფლებების ჩამორთმევა, როგორც სასჯელი, პირს ავტომატურად ენიშნება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ სანქციასთან ერთად. ამდენად, სადავო ნორმების საფუძველზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ადმინისტრაციული სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვროს, არსებობს თუ არა, და თუ არსებობს რა ფარგლებში, პირისათვის ზემოხსენებული უფლების ჩამორთმევის მექანიზმის გამოყენების საჭიროება და, შესაბამისად, მოახდინოს სადავო ღონისძიების ინდივიდუალიზაცია.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს, სავალდებულო და ავტომატური წესით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირისათვის უფლებების ჩამორთმევა, დანიშვნის ფორმის, გამოყენების წესისა და ძირითადი უფლებებით სარგებლობაზე მისი გავლენის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს თუ არა სასჯელის დაკისრების მიზნების მიღწევას. თუკი კონკრეტული ტიპის სასჯელი, ამა თუ იმ ფაქტორის გამო, ვერ უზრუნველყოფს კონსტიტუციით გათვალისწინებული პენოლოგიური მიზნების მიღწევას, პირისთვის მათი დაკისრება თვითმიზნური ხასიათის ღონისძიება იქნება და დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

2.2. სადავო ნორმების საფუძველზე სასჯელის დაკისრების ფორმა და ინდივიდუალიზაციის პრინციპი

22. სადავო ნორმების საფუძველზე, როგორც აღინიშნა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს, სასამართლოს მიერ სავალდებულოდ და ავტომატურად ჩამოერთმევა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 3 წლის ვადით, ხოლო პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობისა და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები – 5 წლის ვადით. შედეგად, ნორმატიულ დონეზე, აბსოლუტურად გამოირიცხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ უფლებების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობა.

23. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, უფლებების ჩამორთმევა, თავისი გამოყენების წინაპირობების, გამოყენების წესისა და ვადის გათვალისწინებით, მიიჩნევა სასჯელად, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 14 ივნისის №2/1/702 გადაწყვეტილება საქმეზე „კონსტანტინე ლაბარტყავა, მალხაზ ნოზაძე და ირაკლი გიგოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20-22, 25). რაც შეეხება სასჯელის დანიშვნის ფორმას, შესაბამისი უფლებების ჩამორთმევა ხდება სავალდებულო წესით და ავტომატურად. სადავო ნორმებით გათვალისწინებული უფლებრივი

შეზღუდვების მოქმედების ვადის დენა, როგორც აღინიშნა, იწყება სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

24. სასჯელის ავტომატური დანიშვნა არსებითად ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული ღონისძიების სასჯელის სახით განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არა სამართალშემფარდებელი, არამედ კანონმდებელი, ვინაიდან უშუალოდ კანონი განსაზღვრავს უფლებების ჩამორთმევის იმპერატიულ წინაპირობებს. შესაბამისად, საქმის განმხილველ მოსამართლეს არ გააჩნია დისკრეცია, გადაწყვიტოს, გამოიყენოს თუ არა შესაბამისი უფლებების ჩამორთმევის მექანიზმი, შეარჩიოს უფლებაშემზღუდველი ღონისძიების გამოყენების ვადა ან პირს ჩამოართვას არა კანონით განსაზღვრული ყველა უფლება, არამედ მხოლოდ ერთი ან რამდენიმე სხვადასხვა კომბინაციით. ამდენად, სადავო ნორმებით გათვალისწინებული სასჯელის გამოყენების საკითხს და წინაპირობებს სრულად წყვეტს ბლანკეტური საკანონმდებლო ჩანაწერი (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – თეიმურაზ ტულუშის და ირინე იმერლიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 14 ივნისის №2/1/702 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 42).

25. სასჯელის დაწესების ერთ-ერთ მიზანს, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართლიანობის აღდგენა წარმოადგენს, რაც მიიღწევა მხოლოდ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პირობებში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, უფლების შეზღუდვის თანაზომიერების შეფასება და კონფლიქტურ ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსის დადგენა მოითხოვს ინდივიდუალური გარემოებების კომპლექსურ ანალიზს. ამ მხრივ, გამამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი გარემოებების მხედველობაში მიღებას, როგორებიცაა სამართალდარღვევის ბუნება და სიმძიმე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისგან მომდინარე რეალური საფრთხის ინტენსივობა და მისგან განპირობებული ზიანის მოცულობა, აგრეთვე სამართალდამრღვევი პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და ბრალეულობის ხარისხი. შეფასებას საჭიროებს, აგრეთვე, ქმედების ჩადენის კონტექსტი და პირის დამოკიდებულება განხორციელებული ქცევის მიმართ, მათ შორის, მოტივი, ბრალის ფორმა, ქცევის შემდგომი განვითარება, მონანიება ან ზიანის აღმოფხვრისკენ მიმართული ქმედებები. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაკისრებული შეზღუდვის გავლენას პირის პროფესიულ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათ შორის, რამდენად ზღუდავს იგი მის კანონიერ საქმიანობასა და საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, შეფასდეს განმეორებითი სამართალდარღვევის რეალური რისკის არსებობა და არა მისი აბსტრაქტული ვარაუდი. აღნიშნული გარემოებების ერთობლივი გათვალისწინება წარმოადგენს ინდივიდუალიზაციის პრინციპის არსებით

კომპონენტს, რომლის იგნორირება იწვევს პირისათვის ბლანკეტური და არაპროპორციული სასჯელის/საჩივრის დაკისრების რისკს (იხ., *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის №1/2/1475 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ბექანასი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-24).

26. ამდენად, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული გარემოებების განხილვისა და შეფასების გარეშე, შეუძლებელია დადგინდეს, რამდენად აუცილებელი და გამართლებულია სადავო ნორმებით გათვალისწინებული უფლებების ჩამორთმევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ყველა შესაძლო შემთხვევასთან მიმართებით. უფლებათა შეზღუდვა გაუმართლებლად უნდა იქნეს მიჩნეული იმ შემთხვევაში, როდესაც იგი, თანაზომიერების თვალსაზრისით, არ არის შესაბამისობაში კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და სამართლებრივი რეგულირება გამორიცხავს გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს შესაძლებლობას, გაითვალისწინოს ინდივიდუალური მახასიათებლები და უზრუნველყოს საჯარო და კერძო ინტერესების ადეკვატური დაბალანსება. შესაბამისად, იმისათვის, რომ სადავო ღონისძიებებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ სტანდარტებთან თავსებადი იყოს, აუცილებელია, საქმის განმხილველ ორგანოს გააჩნდეს რეალური შესაძლებლობა, განსაზღვროს სამართლიანი, ადეკვატური და პროპორციული სასჯელი/საჩივრი, კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით.

27. განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნორმებით განსაზღვრული უფლებების ჩამორთმევა ვრცელდება, მათ შორის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის პირველი ნაწილით აკრძალულ ქმედებებზე, რაც, როგორც აღინიშნა, გულისხმობს მცენარე კანაფის [10 გრამამდე] ან მარიხუანის [5 გრამამდე გამომშრალი მარიხუანა, 10 გრამამდე ნედლი მარიხუანა] მცირე ოდენობით უკანონო შექმნას, შენახვას, გადაზიდვას ან/და გადაგზავნას. შესაბამისად, საკანონმდებლო გადაწყვეტად სრულად ინდიფერენტულია ზემოაღნიშნული ქმედებების ჩადენის ადგილის, დროის, კონტექსტის, მცენარე კანაფის ან/და მარიხუანას ოდენობის, ადმინისტრაციულსამართალდამრღვევი პირის ვინაობის, განხორციელებული ქმედებისადმი პირის დამოკიდებულებისა თუ სხვა ნებისმიერი რელევანტური გარემოების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის პირველი ნაწილის მოქმედების ფარგლებში დიამეტრულად განსხვავებული შემთხვევები მოექცეს.

28. აღნიშნულს ადასტურებს კონსტიტუციურ სარჩელებში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებებიც. მაგალითად, №1914 კონსტიტუციური წარდგინების მიხედვით, პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით, ედავებიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას 0.77 გრამი გამომშრალი მარიხუანის, აგრეთვე, ნიკოტინის შემცველი მცენარისა და მარიხუანას ნარევის ფლობის გამო, საერთო წონით 3.83 გრამი, რომელშიც ტეტრაჰიდროკანაბინოლის რაოდენობა შეადგენს – 0.03643 გრამს და მარიხუანას მოსაწევი მოწყობილობების შიდა ზედაპირზე არსებულ დანაშრევეზე აღმოჩენილი 0.0056 და 0.0011 გრამი ტეტრაჰიდროკანაბინოლის გამო. №1920 კონსტიტუციური წარდგინების შესაბამისად, პირს ედავებიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას ნარკოტიკული საშუალება გამომშრალი მარიხუანისა და ნიკოტინის შემცველი მცენარისა და მარიხუანას ნარევის ფლობის გამო, საერთო წონით – 4.38 გრამი. ანალოგიურად, №1921 და №1928 კონსტიტუციურ წარდგინებებში მითითებულია, რომ საქმე შეეხება ნიკოტინის შემცველი მცენარისა და მარიხუანას ნარევს, შესაბამისად, საერთო წონით 0.42 გრამი და 0.65 გრამი, რომლებშიც, ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობა, შესაბამისად, არის 0.0039 გრამი და 0.0061 გრამი, ხოლო №1922 და №1938 კონსტიტუციურ წარდგინებებში იდენტიფიცირებული სამართალდარღვევა შეეხება – შესაბამისად, 0.96 გრამ და 0.27 გრამ გამომშრალ მარიხუანას. შესაბამისად, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლეების განხილვაში არსებული საქმეები ადასტურებს, რომ ერთი და იმავე ნორმის მოქმედების ფარგლებში შესაძლოა, მოექცეს განსხვავებული სიმძიმის შემთხვევები, მათ შორის, ისეთებიც, რომელთა შემთხვევაში, მარიხუანის ოდენობა მერყეობს მილიგრამებიდან რამდენიმე გრამამდე.

29. აღნიშნულის მიუხედავად, სადავო ნორმები არ ითვალისწინებს, მოსამართლის მხრიდან, რაიმე ფორმის ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების ან კონკრეტულ საქმესთან მიმართებით, რელევანტური გარემოებების გათვალისწინების შესაძლებლობას. მართალია, 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილება აღიარებს სანქციის სავალდებულო და ავტომატურ ხასიათს, თუმცა არ ითვალისწინებს რაიმე სახის დასაბუთებას იმის თაობაზე, რა ლეგიტიმური ინტერესებით არის განპირობებული ან რატომ არის გამართლებული გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო ორგანოსათვის სასჯელის/სანქციის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობის აბსოლუტურად გამორიცხვა. ამ კონტექსტში, ჩვენი კოლეგების მიერ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა და არგუმენტაციის ხაზი სრულად ორიენტირებულია ლეგიტიმური მიზნების (საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, ახალგაზრდა თაობის სრულფასოვანი

განვითარებისათვის საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირება, სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა და საზოგადოების ნდობის გარანტირება) იდენტიფიცირებაზე, თუმცა უპასუხოდ ტოვებს შეკითხვას, რა საფრთხეები შეექმნებოდა აღნიშნულ ლეგიტიმურ მიზნებს, თუ საქმის განმხილველ სასამართლო შემადგენლობას/მოსამართლეს მიეცემოდა, თითოეული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, უფლებების ჩამორთმევის საჭიროებისა და ინტენსივობის შესახებ ინდივიდუალიზებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ ასაბუთებს, რატომ არის სასჯელის ინდივიდუალიზაცია შეუსაბამო ან არაეფექტიანი შესაბამისი პრევენციული მიზნების მისაღწევად ან რატომ ვერ უზრუნველყოფს ინდივიდუალური შეფასება საზოგადოებრივი ინტერესების ადეკვატურ დაცვას. ამდენად, 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილება, თითქოს, ეფუძნება იმგვარ იმპლიციტურ დაშვებას, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაცია, თავისთავად, ასუსტებს სამართლებრივი რეგულირების ეფექტიანობას, თუმცა, მივიჩნევთ, რომ აღნიშნული მოსაზრება, გადაწყვეტილების ფარგლებში, არც ფაქტობრივი და არც ნორმატიული არგუმენტებით არ არის გამყარებული.

30. 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილების დასაბუთება პრობლემურია იმ მხრივაც, რომ იგი არსებითად ეფუძნება სამართალდარღვევებიდან მომდინარე რისკის ავტომატურ პრეზუმირებასა და გენერალიზაციას. კერძოდ, გადაწყვეტილების არგუმენტაციის ხაზი სრულად ეფუძნება დაშვებას, რომლის მიხედვითაც, ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართალდარღვევა, თავისთავად, მიუთითებს სამართალდამრღვევზე, როგორც მომეტებული საფრთხის მატარებელ პირზე, დიამეტრულად განსხვავებულ სამართლებრივ სფეროებში. ამგვარი მიდგომა გულისხმობს, ინდივიდუალური შეფასების გარეშე, მხოლოდ სამართალდარღვევის ფაქტის საკმარისად მიჩნევას, პირისათვის სხვადასხვა უფლების ჩამორთმევის თაობაზე, გადაწყვეტილების მიღებისას, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში, პირსა და მის ქმედებასთან დაკავშირებული რეალური და დადასტურებული რისკი, რასაც ვერ გავიზიარებთ. განსხვავებული აზრის ავტორები მივიჩნევთ, რომ სამართლის უზენაესობის იდეას დაფუძნებული სახელმწიფოს ფუნქციონირების პრინციპიდან გამომდინარე, პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის რისკი არ შეიძლება იყოს აბსტრაქტულად ნაგულისხმევი და ყველა შემთხვევაში ერთნაირად მიჩნეული, არამედ საჭიროებს დადასტურებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიქმნება ნორმატიული და ფაქტობრივი რეალობა, რომლის ფარგლებში, პასუხისმგებლობის დაკისრება მოხდება არა პირის

რეალური ქცევისა და მისგან მომდინარე საფრთხის საფუძველზე, არამედ მის მიმართ შექმნილ ზოგად სტერეოტიპულ წარმოდგენაზე დაყრდნობით, რაც ეწინააღმდეგება პირადი პასუხისმგებლობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებს.

2.3. ახალი დანაშაულის პრევენციის მიზანი სადავო რეგულირების ფარგლებში

31. აღსანიშნავია, რომ 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ნარკოტიკებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პრევენციულ მიზნებს და ასაბუთებს, რომ კონკრეტული უფლებების სავალდებულო და ავტომატური ჩამორთმევა დაკავშირებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და სხვა ლეგიტიმური ინტერესების დაცვასთან. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების დასაბუთების ლოგიკა ცხადყოფს, რომ წარმოდგენილი მსჯელობა, არსებითად, მიემართება ზოგად პრევენციას და სადავო ღონისძიებების გამოყენება არ არის დაკავშირებული ინდივიდუალური საფრთხის შეფასებასთან. მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღიარებს შესაბამისი ღონისძიებების პროპორციულობის აუცილებლობას, თუმცა იგი, ფაქტობრივად, კონსტიტუციურსამართლებრივად გამართლებულად მიიჩნევს ისეთი საკანონმდებლო მოწესრიგების არსებობას, რომელიც პირს აკისრებს მკაცრ შეზღუდვებს არა მისი კონკრეტული ქცევიდან მომდინარე რეალური საფრთხის გამო, არამედ იმისთვის, რომ, ზოგადად, მოხდეს მსგავსი ქცევების პრევენცია. მივიჩნევთ, რომ ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპს, რომლის შესაბამისადაც, დაუშვებელია პირის გამოყენება სხვათა დაშინების ან „საჩვენებელი დასჯის“ ინსტრუმენტად.

32. ბუნებრივია, რაც უფრო მკაცრი იქნება ამა თუ იმ სამართალდარღვევის ჩადენისათვის განსაზღვრული სასჯელი და სახელმწიფოს საპასუხო რეაქცია, მით უფრო მაღალი იქნება მოლოდინი, რომ სანქციის შიშით, ნაკლები ადამიანი ჩაიდენს ცალკეულ სამართალდარღვევას, თუმცა დემოკრატიულ და სამართლის უზენაესობის პრინციპს დაფუძნებულ სახელმწიფოში დაუშვებელია, პირი სამაგალითოდ, მკაცრად დაისაჯოს მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა პირებმა იგივე ქმედება არ ჩაიდინონ. ზოგადი პრევენციის მიზნის მიღწევა სასჯელის დაკისრების გამართლებისათვის საკმარისი საფუძველი რომ იყოს, მაშინ აღარ იარსებებდა არაპროპორციულად მკაცრი სასჯელის აკრძალვის კონსტიტუციური მოთხოვნაც. სხვაგვარად, დაუშვებელია, სახელმწიფომ პირის დასჯა აქციოს სხვებისთვის საჩვენებელ მაგალითად, ერთგვარ დიდაქტიკურ მეთოდად და განსაკუთრებულად მკაცრი სადამსჯელო პოლიტიკა გაამართლოს მართლმართლ დანაშაულის ზოგადი პრევენციის მიზნით. სასჯელის განსაზღვრის დროს

კანონმდებელმა, ზოგადი პრევენციის მიზანთან ერთად, აუცილებელია, მხედველობაში მიიღოს ის რისკები და საჭიროებები, რომლებიც შესაძლოა, მომდინარეობდეს (ან არ მომდინარეობდეს) კონკრეტული, აკრძალული ქმედებიდან/სამართალდამრღვევის პიროვნებიდან. სწორედ ამას გულისხმობს სასჯელის სპეციალური პრევენციის მიზანი – პირისათვის დაკისრებული სასჯელი საკმარისი უნდა იყოს მისი ქმედებიდან ან პიროვნებიდან მომდინარე საფრთხის ნეიტრალიზებისათვის და გადამეტებულად, არაპროპორციულად არ სჯიდეს მას ისეთი ინტერესების მისაღწევად, რომლებიც სცდება სასჯელის დაკისრების ფუნქციას და იწვევს მის ობიექტივიზაციას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – თეიმურაზ ტულუშის და ირინე იმერლიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 14 ივნისის №2/1/702 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 50-51).

33. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, პირველ რიგში, გვსურს ყურადღების გამახვილება იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტის საფუძველზე, მიემართება მცირე ოდენობის მცენარე კანაფთან ან მარიხუანასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ქმედებებს და, შესაბამისად, არა სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს. ამგვარი ქმედებები, თავიანთი შინაარსით, როგორც წესი, დაკავშირებულია პირად მოხმარებასთან ან საზოგადოებრივი საშიშროების კონტექსტში, დაბალი ინტენსივობის ქცევასთან. მაშასადამე, არ შეიცავს იმგვარ სტრუქტურულ ან ორგანიზებულ საფრთხეებს, რომლებიც საზოგადოებრივი უსაფრთხოების მაღალი რისკის მატარებელ აქტებს ახასიათებს. ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ისეთი ნარკოტიკული საშუალებების პირადი მოხმარება და ერთჯერადი მოხმარებისთვის განკუთვნილი ოდენობის დამზადება, შეძენა ან შენახვა, რომლებიც არ ხასიათდება სწრაფი შეჩვევით ან რომელთა მოხმარებაც არ იწვევს აგრესიულ ქმედებებს, არ წარმოშობს სხვა პირთა ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი წესრიგისათვის მაღალი ინტენსივობის რეალურ საფრთხეებს და მათი ინდივიდუალური წვლილი უკანონო ბრუნვის ხელშეწყობაშიც მინიმალურია. შესაბამისად, ამგვარი ქმედებებით გამოწვეული საფრთხე, ჩვეულებრივ, ვერ აღწევს იმ დონეს, რომელიც გაამართლებდა სახელმწიფოს მიერ ინტენსიური რეპრესიული ღონისძიებების გამოყენებას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/6/770 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-49-56). განსახილველი საკანონმდებლო გადაწყვეტაც სწორედ

ამგვარ ლოგიკას ასახავს – მსგავსი ქმედებები არ მიიჩნევა მაღალი სოციალური საშიშროების შემცველად, არამედ განეკუთვნება შედარებით დაბალი ინტენსივობის სამართალდარღვევათა კატეგორიას, რომლისთვისაც ძირითადი სანქცია განსაზღვრულია 500 ლარის ოდენობის ჯარიმის სახით. ამდენად, თავად კანონმდებლის შეფასებითაც, მოცემული ქცევა არ აღწევს იმ ხარისხის საზოგადოებრივ საფრთხეს, რომელიც გაამართლებდა მძიმე და ინტენსიური რეპრესიული ღონისძიებების გამოყენებას.

34. საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ღონისძიებების კონსტიტუციურობის თაობაზე განვითარებული მსჯელობა, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად არ ახასიათებს პირებს, როგორც სოციალურად განსაკუთრებულად საშიშ სუბიექტებს, ფაქტობრივად, აგებულია რისკების მაქსიმალიზაციასა და ჰიპოთეტური საფრთხეების გენერალიზებულ წარმოდგენაზე, რაც, საბოლოოდ, ემსახურება სადავო ღონისძიებების ზოგადი პრევენციის მიზნით გამოყენების დასაშვებობის გამართლებას. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ქმნის სამართალდამრღვევი პირის, როგორც განსაკუთრებით მაღალი რისკის მატარებელ სუბიექტად აღქმას საზოგადოებაში. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ პირის მიერ, რომელიც ჩადის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, სატრანსპორტო საშუალება შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ნარკოტიკული საშუალებების არა მხოლოდ მოხმარების, არამედ გადატანისა და გავრცელების, აგრეთვე, სხვა არამართლზომიერი გარიგებების სივრცედ. 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილება, აგრეთვე ხაზს უსვამს, რომ მცენარე კანაფის ან მარიხუანას მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა ქმნის მისი მოხმარების პერსპექტივას და წარმოადგენს შესაბამისი პირობების მომზადებას, რაც სცდება უკვე ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების ფარგლებს და ეფუძნება შესაძლო, მომავალი ქცევების წინასწარ შეფასებას. ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი მიუთითებს, რომ პირი, რომელიც შეიძენს, შეინახავს, გადაზიდავს ან/და გადაგზავნის მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობას, იგი ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ შეუდგება სატრანსპორტო საშუალების მართვას, მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა ასეთი ფაქტი, კონკრეტულ შემთხვევაში. ანალოგიურად, საგანმანათლებლო სივრცესთან მიმართებით, ჩვენი კოლეგები ასაბუთებენ, რომ ასეთი პირების საქმიანობა, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების ან/და არაპირდაპირი პოპულარიზაციისთვის, ხოლო იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას, ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულია პირის ფსიქიკური

სტაბილურობისა და პასუხისმგებლობის სტანდარტის შესაძლო შემცირებაზე და სხვა (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის შენიშვნის მე-11 ნაწილისა და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1¹ პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-25-27, 30, 32).

35. ამასთანავე, ის ქცევები და რისკები, რომლებზეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დასახელებულ გადაწყვეტილებაში აპელირებს, მოქმედ ნორმატიულ წესრიგში წარმოადგენს დამოუკიდებლად რეგულირებად და დასჯად ქმედებებს. მაგალითად, ნარკოტიკული თრობის ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვა, ნარკოტიკული საშუალებების გავრცელება, მათით ვაჭრობა ან/და მოხმარების ხელშეწყობა/პოპულარიზაცია, მათ შორის, საგანმანათლებლო სივრცეში, წარმოადგენს განცალკევებულ სამართალდარღვევებს ან დანაშაულებს, რომელთათვისაც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამის პასუხისმგებლობას. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ქმედებები უკვე ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ შეფასებასა და სანქცირებას, დაუშვებელია, მათი განხორციელების ჰიპოთეტური შესაძლებლობის არსებობა გამოყენებულ იქნეს განსხვავებული, ნაკლებად საშიში ქმედებისათვის ავტომატური და ინტენსიური შეზღუდვების გასამართლებლად. ასეთი მიდგომა იწვევს პირის დასჯას არა ჩადენილი ქმედების, არამედ შესაძლო, ჯერ არგანხორციელებული ქცევის გამო, რაც ეწინააღმდეგება როგორც სასჯელის ინდივიდუალიზაციისა და პროპორციულობის, აგრეთვე სამართლიანი მართლმსაჯულების ფუნდამენტურ მოთხოვნებს.

36. ამგვარად, №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილების არგუმენტაციის ხაზი, რეალურად, აყალიბებს ლოგიკას, რომლის მიხედვითაც, მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან/და გადაგზავნასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა, *a priori* უკავშირდება ფართო სპექტრის მძიმე და მაღალი სოციალური საფრთხის შემცველ ქცევებს, რაც იწვევს სამართალდამრღვევის, როგორც განსაკუთრებით მაღალი სოციალური საშიშროების სუბიექტად აღქმას. მივიჩნევთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან მცირე ოდენობის მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან/და გადაგზავნისაგან მომდინარე საფრთხეების ჰიპერბოლიზაცია და ამგვარი ქმედებების პრეზუმირებულად დაკავშირება – გავრცელების, სისტემური ბრუნვის ან სხვა მაღალი რისკის მქონე ქცევებთან არ არის რეალისტური და არსებითად აცდენილია ქმედების რეალურ

ბუნებას. შესაბამისად, მსგავსი ქმედებების დაკავშირება ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებასთან, სისტემურ ბრუნვასთან ან სხვა მაღალი რისკის მქონე ქცევებთან ეფუძნება უფრო ჰიპოთეტურ დაშვებებს, ვიდრე კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს. აღნიშნული მიდგომა პრობლემურია, რამდენადაც ანაცვლებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის გამოყენებას აბსტრაქტული და ჰიპოთეტური რისკების შეფასებითა და მათზე დაყრდნობით, რითაც ფართოვდება სახელმწიფოს რეპრესიული ჩარევის ფარგლები, ამასთანავე, სათანადო დასაბუთების გარეშე მკაცრდება პასუხისმგებლობა, რაც, თავის მხრივ, ეჭვქვეშ აყენებს როგორც სასჯელის პროპორციულობის, ისე სამართლიანობის აღდგენის მიმართ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების რეალურ უზრუნველყოფას.

37. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნები მოიცავს ფართო და ერთმანეთისგან განსხვავებულ ინტერესთა სპექტრს – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვას, ახალგაზრდა თაობის სრულფასოვანი განვითარებისათვის საფრთხისშემცველი ფაქტორების შემცირებას და საგანმანათლებლო გარემოს სიჯანსაღეს, საჯარო სამსახურის ავტორიტეტსა და სხვა ღირებულებებს – თუმცა ლეგიტიმური მიზნების ასეთი განზოგადებული ჩამოყალიბება და მათ ზოგად მნიშვნელობაზე აქცენტირება, როდესაც ამგვარი მიზნები არ არის მკაფიოდ დაკავშირებული კონკრეტულ ღონისძიებასთან, ამასთანავე, არ ხდება მათი დიფერენცირება, ქმნის რისკს, რომ ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება გამართლდეს ამ ფართო მიზნებიდან რომელიმეზე ზოგადი მითითებით. ბუნებრივია, არ გამოვრიცხავთ, რომ ცალკეულ შემთხვევაში, პირი საკუთარ საქმიანობას ან თანამდებობას იყენებდეს არამართლოზომიერი მიზნებისათვის და მისგან ნამდვილად მომდინარეობდეს იმგვარი საფრთხე, რომელიც გამართლებდა, სამომავლოდ, სხვადასხვა, მათ შორის, ამა თუ იმ სფეროში საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, თუმცა საკანონმდებლო ორგანოს მიერ შერჩეული სასჯელის დაკისრების წესი ცხადად მეტყველებს, რომ მას არ ამოძრავებს ინდივიდუალური საფრთხეების პრევენციის მიზანი, არამედ მისთვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს შესაბამისი ნარკოტიკული სამართალდარღვევის ჩადენის ზოგადი პრევენცია, რომლის მისაღწევადაც, თავის მხრივ, გამართლებულად მიაჩნია ყველა პირისათვის ერთგვაროვნად მკაცრი სასჯელის დაწესება.

38. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევთ, სადავო ნორმებით დაწესებული სასჯელი და მისი დაკისრების ფორმა, პირს აქცევს მკაცრი ნარკოპოლიტიკის წარმართვის ინსტრუმენტად. ინდივიდის ამგვარი ობიექტივიზაციით კი, ილახება საქართველოს კონსტიტუციით დაცული ადამიანის ღირსება.

39. დამატებით, ვერ გავიზიარებთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის პოზიციას, რომლის შესაბამისადაც, მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შექმნის, შენახვის, გადაზიდვის ან/და გადაგზავნისთვის პირის სამართალდამრღვევად ცნობა და, შედეგად, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების სავალდებულოდ, ავტომატურად ჩამორთმევა 3 წლის ვადით, ემსახურება იმ მნიშვნელოვანი ამოცანის უზრუნველყოფას, რომ არ მოხდეს მცენარე კანაფის ან მარიხუანის გავრცელება ავტომობილების მეშვეობით, ისევე, როგორც არ მოხდეს სატრანსპორტო საშუალების გამოყენება მათი მოხმარების, მომხმარებელთა თავშეყრის, სხვა პირებისთვის მათი გადაცემის/გავრცელებისა თუ მათით ვაჭრობისა და მათზე გარიგებების დადების ადგილად (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2026 წლის 26 მარტის №3/1/1914,1920,1921,1922,1928,1938 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის შენიშვნის მე-11 ნაწილისა და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1¹ პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-25). იმ პირობებში, როდესაც არ არის დადგენილი, ერთი მხრივ, სატრანსპორტო საშუალების გამოყენების ფაქტი სამართალდარღვევის ჩადენის პროცესში, მეორე მხრივ კი, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, ვფიქრობთ, არ არსებობს რაციონალური კავშირი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით გათვალისწინებული უფლების ჩამორთმევის ღონისძიებას შორის. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის მექანიზმი, თავისთავად და თვისებრივად არ უკავშირდება იმ დაშვებას, რომ სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება ნარკოტიკული ნივთიერების გავრცელების ან მოხმარების მიზნით. მსგავსი დაშვება შესაძლებელს გახდიდა პირისათვის სხვა რესურსების ან სივრცეების გამოყენების შეზღუდვასაც, მათ შორის, საცხოვრებელი სივრცისა, იმ მოტივით, რომ იგი, შესაძლოა, მომავალში გამოყენებული იქნეს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილად. შესაბამისად, ამგვარი დაშვება ეფუძნება მხოლოდ ჰიპოთეტურ ვარაუდს, რომელიც არ არის გამყარებული კონკრეტული ქცევითი კავშირით, რომელიც რეალურად მიუთითებდა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებაზე შესაბამისი მიზნებისთვის.

2.4. სადავო ნორმებით გათვალისწინებული სასჯელის დაკისრების გავლენა პირის რესოციალიზაციაზე

40. სახელმწიფოს მხრიდან პირისათვის სასჯელის დაკისრების პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი რესოციალიზაციაა. როგორც აღინიშნა, ხსენებული მიზანი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის სპეციფიკის ჭრილში, მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის ღირსების პატივისცემას და პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმატიული ჩარჩოს ისეთი ფორმით შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს პირის ქცევის კორექციას ისევე, როგორც სოციალურ ცხოვრებაში პირის ნორმალური ფუნქციონირების გაუმართლებლად შეფერხებისა და არასათანადო ბარიერების დაწესების პრევენციას.

41. ამ თვალსაზრისით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის შემადგენლობა, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულად აღწერს თითოეული შეზღუდული უფლების მნიშვნელობასა და მათზე სადავო ღონისძიებების ზემოქმედების მასშტაბს, სათანადოდ არ აფასებს აღნიშნული შეზღუდვების ინდივიდუალურ ეფექტს. იმავდროულად, სრულად მხედველობის მიღმა რჩება სადავო ნორმებით დაწესებული შეზღუდვების კუმულაციური და გრძელვადიანი მოქმედების ეფექტი. მივიჩნევთ, რომ მრავალი უფლების ერთდროული, ავტომატური და ხანგრძლივი ვადით ჩამორთმევა, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების მართვის, პროფესიული საქმიანობის, საჯარო სამსახურში დასაქმებისა და იარაღთან დაკავშირებული უფლებების ჩამორთმევა იწვევს პირის უფლებრივ მდგომარეობაზე ინტენსიურ და კომპლექსურ ზემოქმედებას. უფლებრივ მდგომარეობაზე ზემოქმედების ჯამური მასშტაბი მნიშვნელოვნად აღემატება თითოეული შეზღუდვის ცალკეული შეფასებით გამოვლენილი შეზღუდვის ინტენსივობას. ცხადია, აღნიშნული უფლებების ჩამორთმევა, ცალკე აღებული თუ ერთობლიობაში, ფუნდამენტურ გავლენას ახდენს პირის შესაძლებლობაზე, ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობის პარალელურად, განაგრძოს ნორმალური ფუნქციონირება საზოგადოებაში. დამატებით, იმგვარი უფლების ჩამორთმევას, როგორცაა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, შესაძლოა, სხვადასხვაგვარი გავლენა გააჩნდეს ადამიანის პიროვნულ თავისუფლებასა და თვითრეალიზაციაზე. მაგალითად, შესაძლოა, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებასთან დაკავშირებული იყოს პირის ძირითადი საქმიანობა, სატრანსპორტო საშუალების მართვა წარმოადგენდეს მისი შემოსავლის უმთავრეს წყაროს (*mutatis mutandis* იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს №1/4/535 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8). უფლების ჩამორთმევის ინტენსივობა ბევრად უფრო მაღალია, როდესაც სატრანსპორტო საშუალების მართვა არის პირის შემოსავლის (რიგ შემთხვევებში, შეიძლება ერთადერთი)

წყარო და ამ საქმიანობის განხორციელებაზე დამოკიდებული მისი ფინანსური კეთილდღეობა.

42. ამასთანავე, სადავო ნორმებით გათვალისწინებულია პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აგრეთვე, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს ინდივიდზე გასაჩივრებული ღონისძიებისგან მომდინარე ზემოქმედების განსაკუთრებულ მასშტაბსა და ინტენსივობას. ორივე შემთხვევაში, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვრცელდება ფართო პროფესიულ სფეროებზე და, ფაქტობრივად, 5 წლის განმავლობაში ზღუდავს პირის შესაძლებლობას, განახორციელოს როგორც სპეციალიზებული, ისე ზოგადი შრომითი საქმიანობა. მაგალითად, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვრცელდება ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ საგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობაზე. ამასთანავე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლების ჩამორთმევა არ შეეხება მხოლოდ საგანმანათლებლო-პედაგოგიურ სფეროს და ვრცელდება ნებისმიერი ტიპის საქმიანობაზე, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება. თავის მხრივ, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლების ჩამორთმევა მიემართება საჯარო სამსახურის ფართო ინსტიტუციურ სპექტრს, მათ შორის, სახელმწიფო სამსახურში, მუნიციპალიტეტის ორგანოებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, სხვა დამოუკიდებელ თუ სპეციალურ საჯარო ორგანოებში საქმიანობას და სხვა. ამგვარი შეზღუდვების ეფექტები კი საკმაოდ შორსმომავალია და არსებითად ზღუდავს პირის პროფესიული რეალიზაციისა და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის შესაძლებლობას.

43. მაშასადამე, სადავო ნორმებით გათვალისწინებული უფლებების ჩამორთმევა, რომელიც ვრცელდება სოციალური ცხოვრების ფართო სპექტრზე და პირს ხანგრძლივი ვადით უზღუდავს ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და საზოგადოებაში ინტეგრაციასთან პირდაპირ დაკავშირებულ შესაძლებლობებს, თავისი არსით, სცილდება სასჯელის ლეგიტიმურ მიზნებს. აღნიშნული რეგულაციით დადგენილი სანქცია, რომლის უპირველესი ფუნქცია, პრაქტიკულად, პირების სამაგალითო სიმკაცრით დასჯასა და ზოგად პრევენციას უკავშირდება, ვერ უზრუნველყოფს ვერც სამართლიანობის აღდგენას და ვერც რესოციალიზაციის მიზნის მიღწევას. საპირისპიროდ, ამგვარი სასჯელების ავტომატური, ინდივიდუალიზაციის გარეშე გამოყენება ქმნის დამატებით უსამართლობას, გამორიცხავს კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული რეალური საფრთხის შეფასებას და სასჯელს აქცევს რეპრესიულ მექანიზმად. ბუნებრივია, აღნიშნული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს სამართალდამრღვევის ქცევის კორექციასა და მართლზომიერი ქცევის სტიმულირებას.

დასკვნა

44. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმებით დადგენილი რეგულირება, რომელიც ითვალისწინებს უფლებების ავტომატურ და არაინდივიდუალიზებულ ჩამორთმევას, ვერ აკმაყოფილებს სასაჯელის პროპორციულობის მიმართ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით წაყენებულ მოთხოვნებს, რამდენადაც, უმთავრესად, მიემართება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ზოგადი პრევენციის მიზნის მიღწევას, უფლებებელყოფს ინდივიდუალური გარემოებების შეფასების აუცილებლობას და არ უზრუნველყოფს არც სამართლიანობის აღდგენის და არც რესოციალიზაციის ინტერესებს. ამგვარი რეგულაცია პირს აქცევს სახელმწიფოს რეპრესიული პოლიტიკის ინსტრუმენტად და იწვევს მის ობიექტივიზაციას, რაც შეუთავსებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები

გიორგი კვერენჩილაძე

თეიმურაზ ტულუში

ასლი დედანთან სწორია
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მდივანი

გიორგი თევდორაშვილი

სასამართლოს წევრი
ხელმძღვანელობა

